კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS
მისამართი - მ.ალექსიძის 1/3

ალბომის პრეზენტაცია
„ძველი აღთქმის მინიატიურები ქართულ ხელნაწერებში“

2017 წლის 12 იანვარს, 15:00 საათზე კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართება ალბომის პრეზენტაცია, სახელწოდებით „ძველი აღთქმის მინიატიურები ქართულ ხელნაწერებში“.

გამოცემაში თავმოყრილია ძველი აღთქმის 252 მინიატიურა, რომელბითაც შემკულია XI-XVIII სს-ში შექმნილი 17 ქართული ხელნაწერი წიგნი. უდიდესი ნაწილი ძველი აღთქმის მინიატიურებისა XI-XVIII სს-ით დათარიღებული ფსალმუნების ილუსტრაციას ემსახურება. მასალა დალაგებულია თემატურად, ხოლო თითოეული თემის ფარგლებში - ბიბლიური ისტორიის ქრონოლოგიის გათვალისწინებით. ერთი და იგივე თემატური სიუჟეტი წარმოდგენილია სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი ხელნაწერების საფუძველზე. ასე თავმოყრილი მინიატიურები კი საშუალებას გვაძლევს ნათლად წარმოვიდგინოთ ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრულ-დეკორატიული სისტემის, სიუჟეტებისა და გრაფიკული ფორმების განვითარების პროცესი.

ალბომში წარმოდგენილია არამხოლოდ სიუჟეტური კომპოზიციები, არამედ XII ს-ის მდიდრულად ილუსტრირებული ოთხთავების მოხატულობაში არსებული ძველი აღთქმის სიმბოლოებიც.

გამოცემაში სრულად არის თავმოყრილი და ქრონოლოგიური თვალსაზრისით განთავსებული კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ძველი აღთქმის სიუჟეტებისა თუ სახე-სიმბოლოების XI-XVIII სს-ში შექმნილი ყველა გამოსახულება.

ალბომი დიდ დახმარებას გაუწევს ქართული წერილობითი კულტურის ისტორიით დაინტერესებულ პროფესიონალებსა და ფართო საზოგადოებას, საფუძვლიანად გაეცნონ ბიბლიური თემატიკის ქართული ხელნაწერი წიგნების შექმისა და მხატვრული გაფორმების პრინციპებს.

შეგახსენებთ, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
მარიამ ჯაბიძე
mariamjabidze@gmail.com
598 175 777; 577 977 199
თამარ გურგენიძე
friends@manuscript.ac.ge
599 899 628